ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302209718**
თარიღი: **07/04/2022**
პინი: **7940**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ,,საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ბალანსიდან ბალნსზე, უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში საახალწლო დეკორატიული (მოძრავი) ჯიხურების გადაცემის შესახებ“ სახელმწიფო რწმუნებულის ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში 2022 წლის 16 მარტის N31 განკარგულების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს უვადო სარგებლობაში გადმოეცა მოძრავი ქონება, კერძოდ 3 (სამი) ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხური, (რომლის ჯამური ღირებულებაა 14100 ლარი).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478) მისი არსებობის ვადით.

აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

წერილის ნომერი:**08-30220916**
თარიღი: **01/04/2022**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ეკონომიკისა და ქონების მართვის
სამსახურის უფროსის გიორგი ნაჭყებიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N609 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

მოგახსენებთ რომ, სახელმწიფო რწმუნებულის ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში 2022 წლის 16 თებერვლის N 31 განკარგულების თანახმად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გადმოეცა საკუთრებაში შემდეგი ქონებები: 3 (სამი) ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხური,

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულება“-ს (ს/ნ 233731478) უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ზემოთ აღნიშნული ქონებები.

ზემოთაღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება.

გთხოვთ დაავალოთ იურიდიულ სამსახურს სათანადო პროექტის მომზადება.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი

პატივისცემით:

გიორგი ნაჭყებია

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური-ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

წერილის ნომერი:**05-302209530**
თარიღი: **05/04/2022**

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
იურიდიული სამსახური-იურიდიული სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

იურიდიული სამსახურის უფროსს

ბატონ შოთა ჩაგუნავას

თქვენი მიმდინარე წლის 05 აპრილის N09-302209527 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის 31 მარტის N08-302209033 წერილით გვეცნობა სამი ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხურის გადმოცემის შესახებ. საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 14100 ლარს.

აღნიშნული ქონებები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ აყვანილია მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე.

პატივისცემით,

როლანდ ლაშხია

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2022 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონება, კერძოდ 3 (სამი) ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხური, (რომლის ჯამური ღირებულებაა 14100 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478) მისი არსებობის ვადით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

სახელმწიფო რწმუნებული
ლანჩხუთის, ოზურგეთისა და
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში

STATE REPRESENTATIVE
IN LANCHKHUTI, OZURGETI AND
CHOKHATAURI MUNICIPALITIES

N 31
16/03/2022

31-01-4-202203161917

განკარგულება

საქართველოს ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ბალანსიდან ბალანსზე, უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში საახალწლო დეკორატიული (მოძრავი) ჯიხურების გადაცემის შესახებ

,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილების, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 27³ მუხლის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილების თანდართული დებულებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მარტის №30-302207068 წერილის საფუძველზე:

1.გადაეცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას ბალანსიდან ბალანსზე უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში, 3 (სამი) ერთეული საახალწლო დეკორატიული (მოძრავი) ჯიხური, ერთეულის ღირებულება 4700 (ოთხიათასშვიდასი) ლარი, ჯამური ღირებულება 14100 (თოთხმეტიათას ასი) ლარი.

2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს აპარატის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს გოჩა ჯაშს (პ/ნ: 33001004111).

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს ზაზა შოშიტაიშვილს.

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქ. №1. ტელ: (0-496) 27-54-62;
#1 Merab kostava st. , Ozurgeti, 3500, GEORGIA; Tel: (0-496) 27-54-62; email: info@guria.gov.ge ; www.guria.gov.ge

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქუჩა №14).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ურუშაძე

სახელმწიფო რწმუნებული
ხელმძღვანელობა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

30/12/2021 N 157/ო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების (მოძრავი ნივთი), საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, ბალანსიდან ბალანსზე, უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის და „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას (შემდგომში - სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია) ბალანსიდან ბალანსზე, უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობის ფორმით, გადაეცეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება - 6 (ექვსი) ერთეული, საახალწლო დეკორატიული ჯიხური, საბალანსო ღირებულებით 28200.00 (ოცდარვა ათას ორასი ლარი) ლარი.

2. ამ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) დღისა, სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამავე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქონების სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისთვის გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმება.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), ლევან ცერცვაძეს და მის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი დამოწმდეს სამინისტროს ბეჭდით.

4. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, სამინისტროს ბალანსიდან მოიხსნას სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისთვის გადაცემული, ამავე ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქონება.

5. სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემიდამ 1 (ერთი) თვის ვადაში, ინფორმაცია

წარუდგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

6. გრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. გრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ილია ბეგიაშვილმა.

8. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6).

საფუძველი: 1. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2021 წლის 30 დეკემბრის №826 წერილი.

2. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის N2314 განკარგულება.

ირაკლი ქარსელაძე

მინისტრი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 30 დეკემბერი 2021 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) ლევან ცერცვაძე (შემდგომში „გადამცემი") და მეორეს მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში რწმუნებულის პირველი მოადგილე ლევან ჯაფარიძე (პ/ნ 01005001143) სახით (შემდგომში „მიმღები"), ვადასტურებთ, რომ „გადამცემმა" გადასცა, ხოლო „მიმღებმა" მიიღო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 30 დეკემბრის N157/ო ბრძანებით განსაზღვრული ქონება (მომრავი ნივთი): საახალწლო დეკორატიული ჯიხური 6 (ექვსი) ცალი, საბალანსო ღირებულებით 28200.00 (ოცდარვა ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

ჩააბარა:

ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
(მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ლევან ცერცვაძე Levan Tsertsvadze

Digitally signed by Levan Tsertsvadze
Date: 2021.12.30 17:09:52 +04'00'

მიმღები:

ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის
მუნიციპალიტეტებში რწმუნებულის პირველი მოადგილე

ლევან ჯაფარიძე

Administration of State Representative in Lanchkhuti, Ozurgeti and Chokhatauri Municipalities

Digitally signed by Administration of State Representative in Lanchkhuti, Ozurgeti and Chokhatauri Municipalities
Date: 2021.12.30 17:18:28 +04'00'

მიღება- ჩაბარების აქტი N 4

ქ.ოზურგეთი

17 მარტი 2022 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გოჩა ჯაში (პ/ნ 33001004111) ერთის მხრივ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის განყოფილების უფროსი ომარ ჯანაძე (პ/ნ 26001003289) მეორეს მხრივ, ვადგენთ აღნიშნულ მიღება ჩაბარების აქტს მასზედ, რომ გოჩა ჯაშმა გადასცა, ხოლო ომარ ჯანაძემ მიიღო, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის) მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის 2022 წლის 16 მარტის #31 განკარგულების საფუძველზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ბალანსიდან ბალანსზე, უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობაში გადაცემული 3 (სამი) ერთეული (მოძრავი) საახალწლო დეკორატიული ჯიხური, ერთეულის საბალანსო ღირებულებით 4 700 (ოთხი ათას შვიდასი) ლარი, საერთო საბალანსო ღირებულებით 14 100 (თოთხმეტი ათას ასი) ლარი.

1.) „გადავეცი"

(გოჩა ჯაში)

2.) „მივიღე"

(ომარ ჯანაძე)